სამშობლო

ოთხშაბათი
13 იანვარი
წელიწადი II.

ფასი: წლიურათ 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ [illegible] 4 აბ. ცალკე ნუმერი [illegible] ფოსტით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს [illegible] ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი [illegible] პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., [illegible] 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის [illegible] განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოეულ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 261 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 261

ტელეფონი № 76.

სამშობლო დიდის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
თრივ ტკბილია ძმობილთ მიჩქვნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

ტელეფონი № 76.

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლის

ქ. ქუთაისი ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ ქ. ქუთაისი

„სამშობლო“-ზე

გაზეთი გამოვა ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

წლიურათ გაზეთი ღირება 9 მანეთი, ნახევარი წლით 5 მან., სამი თვით 2 მ. და 40 კ., თვიურათ 80 კ., ცალკე ნუმერი 5 კ.
რედაქტორ-გამომცემელი ი. თ. ცინცაძე.

ნიკო გვარაძის ბენეფისი.

წარმოდგენა № 41
ქალაქი ქუთაისი. „ქართული დრამა“ ქალაქის თეატრი.
ოთხშაბათს, 13 იანვარს, 1916 წ. წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა

მოლიპულ გზაზე.

5 მოქმედებად, გადმოკეთებული, გარრიკი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ბეკანიშვილი სუზანა, კავთელი ან., მდივანი მარო, მესხი ფეფო, ტოლობერიძე ოლ.; ბბ. ბარველი ვანო, გვარაძე ნიკო, კორიშელი პლატონ, მერისიძე ანდრო, სარელი ლადო, ჩაგუნავა ნიკო, ჩხიკვაძე ვარლამ, ხონელი შალვა.
ადგილების ფასი საზენეფისოა. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
რეჟისორი **შ. დადიანი.** ადმინისტრაცია „ქართული დრამის“ ამხ-სა.

ანონსი: მზადდება ვანო ბარველის ისტორიული კომედია „**გამარჯვებული**“.

ელექტრო „**ამპირი**“ თეატრი
ოთხშაბათიდან, 11 იანვრიდან ნაჩვენები იქნება ახალი მხატვრული პროგრამა:
„**ტაძარი მიძღვნილი კულტისადმი**“.
გერმანელების იერიში ანუ მხეცები შემოკრბენ. ძლიერი დ. 4 ნაწ.
ქალთა პარიკმახერი პრენსი. კომიკური სურათი.

ანონსი: ხუთშაბათიდან, 4 იანვრიდან, ნაჩვენები იქნება, **ქეიფის მონა,** მოსკოვის ცხოვრებიდან. თანამედროვე დრამა 4 მოქ.

ელექტრო „**რადიუმი**“ თეატრი
ორშაბათს, 11 იანვრიდან, ახალი მხატვრული პროგრამა.
პეკა ლონგანი
სიზმარი ანუ მოტყუებული ოცნება.
დრამა 3 ნაწილათ
როგორ დაამარცხა ქვრივი. კომიკური.

ანონსი: ხუთშაბათს, 14 იანვრიდან, ნაჩვენები იქნება მხოლოდ მოზრდილთათვის **ნატაშა პროსკუროვი.** თანამედროვე ცხოვრებიდან.

ექიმი ა. მ. ახათიანი. განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალური, ვენერიულ და შინაგან ავათმყოფობის) ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქუჩის კუთხე, სახ. № 3. თ.

ექიმი მულინი
ყელის, ცხვირისა და ყურების ღებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი. კვირეს გარდა.
თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

ექიმი ი. ჩარექიშვილი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12 —2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიხეგოვის სახლში. თ.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე გოკიელის
ელექტროლისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. **ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი.** თ.

დოკტორი მედიცინისა პრივატ-დოცენტ
ვ. პ. მოსეშვილი
მიიღებს შინაგანი და ნერვების ავათმყოფებით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევს 2 ს. და საღამოს 6 ს. 8 ს.
გოსპიტლის ქუჩა, № 6. თ.

სტუდენტი ფილოლოგიამ ზადებს და უსწორებს გაკვეთილებს, ზომიერ ფასათ. ნახვა შეიძლება ყოველ დღე 2—4 ს.
გოსპიტლის ქუჩა სახლი ალიხვერდიევის, ბინა ალილოვისა. თ.

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი
მარ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით, ვსპობ სახეზე: მეჭეჭებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთ ქიფიანიძისსახლი. თ

მოსკოვის ფირმის განყოფილება
„**ნ. უდალოვი და ი. ვავილოვი**“
ქუთაისი, გიმნაზიის ქუჩა, საკუთარი სახლი.
მხოლოდ სამი დღით
ორშაბათს 11-ს, სამშაბათს 12-ს და ოთხშაბათს 13 იანვარს 1916 წ.
ნიშნავს **იაფ გაჭრობას** ნიშნავს
ყოველგვარ სამანუფაკტურო საქონლისა. 4—4

გაზეთ „**შრომის**“ თანამშრომელთა თაოსნობით იანვრის გასულს ქ. ქუთაისში გამოვა ლიტერატურულ-მხატვრული კრებული.
„**სხივი**“
კრებულში მოთავსებული იქნება ორიგინალურ-მხატვრული და კრიტიკული წერილები.
მონაწილეობენ: **მიხ. ჯავახიშვილი, ია ეკალაძე, ნიკ. მიწიშვილი, გ. მუშლაძე, ილია ნაკაშიძე, გიგო ნათაძე, ვ. რუხაძე, გ. ტაბიძე, ლეო ა. შენგელაია** და სხვ.
აგრეთვე მოთავსებული იქნება **გიგა ჟულელის** დაუბეჭდავი წერილები.
ფასი კრებულისა სამი აბაზი.
მსურველთ შეუძლიათ კრებული წინდაწინ დაიკვეთონ.
მისამართი: ქუთაისი, ობორინის ქუჩა, ნაფიცი ვექილი ივანე პავლეს ძე გოგელია.
წიგნი დაიბეჭდება ქ. შ. წ. კ. გამავრ. ქუთ. განყოფ. სტამბაში. 8-6

ექიმი გ. დ. ნახარიძე შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. დორთქიფანიძის სახლი. თ.

კბილის ექიმი რ. პ. სვანაძის ასული
მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე.
თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლი.

უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი. 11 იანვარი. დასავლეთის ფრონტი ირკუტსკთან ჩვენმა არტილერიამ მოხერხებულათ დაუშინა გერმანელების მუშებს, რომელნიც თხრილებზე მუშაობდენ. ზუა სტრიპასა და ბურშანუვას რაიონშიც ჩვენმა არტილერიამ მოპირდაპირის ჯარის ჯგუფები გაფანტა. ქვემო სტრ-პას რაიონში საარტილერიო ბრძოლაა. ჩერნოვიცის ჩრდილო-აღმოსავლეთით მტერმა სულის შემხუთავ გაზებიანი ყუმბარები ისროლა ჩვენს წინააღმდეგ.

კავკასიის ასპარეზი.

მტრის უკან დევნის დროს ტყვეთ წამოვიყვანეთ 700 ასკარი. ვიხელთეთ საარტილერიო ტრანსპორტი. ჩვენმა არტილერიამ კვლავ განაახლა არზრუმის ფორტებზე ყუმბარების დაშენა მელაზგერთის რაიონში, სხვა და სხვა ადგილას ქურთები დავამარცხეთ.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

დასავლეთის ასპარეზი.

ლონდონი. 10 იანვარი. სამხედრო სამინისტრო იუწყება, დღეს, ნაშუადღევს მტრის ორმა გიდროპლანმა ხელ ახლათ იერიში მოიტანა კენტის საგრაფოს აღმოსავლეთ სანაპიროებზე, მაგრამ ჩვენი ძლიერის ცეცხლით იძულებული გახდენ მიმალულიყვენ. მათ თავდასხმას ადამიანთა მსხვერპლი და არც ნივთიური ზარალი არ მოყოლია.

კოპენჰაგენი. 10 იანვარი. ავსტრიის მთავარი ბანაკი იუწყება: შავმთიელებისაგან იარალის დაყრა და ჩაბარება გრძელდება სამეფოს სხვა და სხვა ადგილებში. ჩამორთმეული იარალი ანტივარისა და დულცინოს ნავსადგურებში ჩააბარეს ავსტრიის ჯარს.

რომი. 10 იანვარი. მთავარი ბანაკის ცნობა. ნოცოლოს ფერდობებზე და მიურის ჩრდილოეთით ლაგარინის ველში მტრის რაზმები შეეცადნენ ჩვენ თხრილებთან მიახლოებას, მაგრამ კონტრიერიშით უკუვაქციეთ. სუგანის ველში ბერგრს კვლავ დაუშინა მტრის არტილერიამ და თავდასხმა მოახდინა მტრის ჰაეროპლანმა. ამის სამაგიეროთ ჩვენმა ბატარეამ სროლა აუტეხა კალდონაცოს სადგურს და შენობები დაანგრია. ლაგაზში, სალცეროგოსა და ცენტრეკიენის ბრძოლის ხაზზე, მდ. რონცის ზემო მიმდინარეობასთან, ჩვენმა რაზმმა ყუმბარები ისროლა, რამაც ალიაქოთი გამოიწვია კრიაპოლის ჯარში. მტრის ჰაეროპლანების დუინოზე თავდასხმის სამაგიეროთ ჩვენმა

ბატარეამ ცეცხლი დაუშინა ტარვისს ხშირი ნისლი იზონცოს გასწვრივ ხელს უშლიდა ჩვენს საარტილერიო სროლას. სანტომარიის სეკტორში მტრის მცირე იერიში მოგერიებულ იქნა.

ომის ამბები.

(ჟურნალ გაზეთებიდან)

როგორც რომიდან იუწყებიან ავსტრიამ წინადადება მისცა ჩერნოგორიას, რომ სეპარატიული ზავი შეკრას მასთან შემდეგი პირობით: მთა ლოვჩენი დარჩეს ავსტრიის სამფლობელოთ; ის 30,000 სერბიელი ჯარის კაცი, რომლებიც ჩერნოგორიის დაცვაში მონაწილეობას იღებდენ ტყვეთ იქმნენ აღიარებულნი, დაყორონ იტალი და ავსტრიაში გაიგზავნონ. ამების სამაგიეროთ ავსტრია ჩერნოგორიის სამფლობელოში დასტოვებს სკუტარის.

კორესპონდენტი იუწყება, რომ ჩერნოგორიის მეფემ ნიკოლოზმა ავსტრიის ამაზე ცივი უარით უპასუხა.

— —

კარგა ხანია ოსმალეთი ძალებს აგროვებს ეგვიპტისაკენ გასალაშქრებლათ. ახლა ჯემალფაშის წინამძღოლობით 300,000 კაცისგან შემდგარი არმია უკვე მზათაა გასალაშქრებლათ. აფიცრობა სულ ოსმალებია. ჯემალის გადაწყვეტილებით არც ერთი გერმანელი არ ურევია მათ შორის გარდა ერთი გენერლისა, რომელიც მთავარ „ვეზირათ" არის მოწვეული და მეომრებში არ გაერევა. ეს გერმანელი თვითონ ენვერ-ფაშისგან არის თურმე დანიშნული.

— —

ვილჰელმის სეფე სიტყვა.

პრუსიის ლანდტაგის პირველ სხდომაზე კანცლერმა სეფე სიტყვა წაიკითხა, საიდანაც სჩანს, რომ ვილჰელმი თუმცა ლანდტაგის საარჩევნო რეფორმაზე პირდაპირ არაფერს ამბობს მარა გადაკვრით აცხადებს, რომ ამ ომში გერმანიის ხალხის თავდადებული მოქმედება შინაურ რეფორმებსაც გამოიწვევსო

— —

ქრონიკა

რუსეთი.

სამხედრო მინისტრის კანონპროექტი.

სამხედრო მინისტრმა პოლივანოვმა სახ. სათათბიროს კომისიაში ახალი კანონპროექტი შეიტანა, რომელიც სამრეწველო მუშების მობილიზაციის შეეხება. ამ კანონპროექტით სამხედრო მიზნისათვის სამრეწველო დაწესებულების ყველა მსახური, შავი მუშიდან დაწყებული დირექტორებით გათავებული გათანასწორებულია, რა თქმა უნდა მოვალეობით; ხოლო მეორე მხრით დაწესებულების ადმინისტრაციის მოსამსახურის ადგილიდან დათხოვა მხოლოდ სამხედრო უწყების კონტროლობით შეეძლია. კანონპროექტით მუშებს არ შეუძლიათ თავისი ნებით დატოვონ სამუშაო.

მარა ამასთან კანონი არც ხაზეინებს აძლევს უფლებას, რომ შრომის პირობები იმაზე უფრო გააუარესონ, როგორც ომამდე იყო. ამით ფიქრობს მინისტრი გააქროს ის შთაბეჭდილება, რასაც მუშებზე ეს კანონპროექტი ახდენს, რადგან იგი მუშების თავისუფლებას წინანდელთან შედარებით უფრო ზღუდავს. თავის ნებით სამუშაოს დატოვებისათვის კანონი მუშას ჯარიმით და ციხეში სამ თვემდე დატუსაღებით სჯის. ასეთ ზომას მიმართავს იმ შემთხვევაშიაც, როცა სამუშაოს მიტოვება მასიურია, ე. ი. როცა მუშები გაფიცვას ახდენენ.

— —

4 იანვარს, ხარკოვის საგუბერნიო საერობო კრება გაიმართა, რომელზედაც ბოგოდუხოვის სამაზრო საერობო კრების ერთი დადგენილების შესახებ მოხსენება იქნა წაკითხული. მოხსენებამ კრებაზე დიდი კამათი გამოიწვია. სამაზრო კრებას დაუდგენია, რომ სატახტო ქალაქი პეტროგრადიდან მოსკოვში იქნას გადმოტანილი. ამ წინადადებას იმ აზრით ასაბუთებდენ თურმე, რომ პეტროგრადული ხანა, თავისი ნემეცური ზეგავლენით რუსეთისათვის უკვე დასრულდა, ახლა ახალი ხანა იწყება, რომლის ემბაზი მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის შუაგული დედა-ქალაქი მოსკოვი უნდა შეიქნეს.

საგუბერნიო კრებამ ეს წინადადება დაუსაბუთებლად ცნო და იგი მხოლოდ პატრიოტულ აღტყინებათ ჩათვალა. თუმცა დიდი კამათის შემდეგ ხმოსან ლეონტიევის წინადადების თანახმათ დაადგინა: კრებამ არა სასურველათ ცნო პეტროგრადის სატახტო ქალაქათ დარჩენა და მისი გამოცვლა საჭიროთ აღიარა; ამ მიზნით დაადგინა, რომ შეიმუშაოს ამ საგნის შესახებ უფრო დასაბუთებული პროექტი და განსახილველათ შემდეგ საერთო საგუბერნიო კრებას წარუდგინოს.

უცხოეთი

ს. დ. შორის.

გერმანიის ს. დ. ფრაქციის კომიტეტმა ს. დ. მთავარ ორგანოში, „ფორვერტსში" წერილი მოათავსა, რომლითაც პარტიულ განხეთქილებათა ისტორიას აგვიწერს.

ფრაქციამ სულ ექვსჯერ მაინც კი აქნია მსჯელობა ლიბკნეხტის ანტიდისციპლინარული გამოსვლების შესახებ; ეს ამბავი 1914 წლის 2 დეკემბრიდან დაიწყო, როცა ლიბკნეხტმა სამხედრო კრედიტის წინააღმდეგ აშკარათ მისცა ხმა; და ამას მოყვა მისი შეკითხვები მთავრობასადმი, სულ ფრაქციის გაუგებრათ ხდებოდა.

კარლ ლიბკნეხტი თავს იმით იმართლებდა, რომ იგი ვალდებულია პარტიის ძირითადი პრინციპები დაიცვას. ამაზე ფრაქციის კომიტეტი უპასუხებს, რომ იგი ამგვარ გამართლებას საფუძვლიანათ არ ცნობს და ამიტომ თავს კომპეტენტურათ აღიარებს რომ ლიბკნეხტს უფლებები ჩამოართვას, რაც მას ფრაქციაში ყოფნით ენიჭება: ფრაქციის წრიდან კი იგი არავის გაუძევებია. განცხადების შემდეგ ფრაქციიდან ლიბკნეხტის თანამოაზრე რიულეც გავიდა.

პრუსიის ლანდტაგიდან გაძევება ლიბკნეხტს არ მოელის, ვინაიდან იქაურ ფრაქციის წევრთა რიცხვი შუაზე გაყოფილი ერთი ნახევარი მხარს უჭერს ლიბკნეხტს ხოლო მეორე—წინააღმდეგია.

მიუხედავათ ამისა პარტიაში დიდი განხეთქილება მზადდება.

პროფესიონალურ კავშირების კომიტეტმა კლარა ცეტკინის რადიკალურ ჟურნალის წინააღმდეგ ახალი ზომიერი გაზეთი დაარსა; ბრემენის სოციალ დემოკრატებმაც თავისი გაზეთის გამოცემა დაიწყეს, რომლითაც ისინი ადგილობრივ უმცირესობის პოზიციას დაუპირდაპირდენ.

ამნაირათ პარტიული დისციპლინის საწინააღმდეგო და დამარღვევი ფაქტები დღითი დღე იზრდება ორივე მხრით მარჯვნიდანაც და მარცხნიდანაც.

სასულიერო მართვა-გამგეობა ჩვენში.

VI

რადგანაც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება ჯერ კიდევ იმდენათ ვერ განვითარებულა, რომ თავისი ადგილი დაიკავოს ცხოვრებაში, ამიტომ ჩვენში ჯერ კიდევ უფლებით აღჭურვილ კერძო პირს მეტი ძალა და გავლენა აქვს ცხოვრებაზე, ვიდრე მთელ საზოგადოებას, ამის მაგალითს თვით ჩვენ, ქართველები წარმოვადგენთ.

მთელმა ქართველმა საზოგადოებამ, მთელმა ერმა იმის ნატამალიც ვერ შესძლო, რაც ერთმა მაღალ საფეხურზე მდგომმა კერძო პირმა შესძლო, თუმცა მას, სანამ ამ საფეხურზე ავიდოდა არამც თუ სიტყვის საქმით ქცევა, თავისი ნაფიქრალისა და ნააზრევის დაცვის ნებასაც კი არ აძლევდენ.

ვისაც მაღალ ყოვლად სამღვდელო პიტირიმის ტელეგრამები წაუკითხავს და ჩაკვირვებია, ამასშიაც დამერწმუნება. ის ტელეგრამას ტელეგრამაზე აგზავნიდა თუ სინოდში, თუ ობერ პროკურორთან, რომ პეტროგრადში მისვლის ნება და საეგზარხოსო საქმეების (ქუთაისის სემინარიისა და ალავერდის კათედრის აღდგენის შესახებ) დაცვის ნება მიეცათ, მაგრამ ვერ ეღირსა. თავისი მაგიერი კაცებიც კი გაგზავნა, მაგრამ საქმე ვერ მოაგვარა. მაგრამ როგორც კი პეტროგრადის მიტროპოლიტი შეიქნა ის, მეორე დღესავე სიტყვა საქმეთ აქცია. რა ვქნათ, ასეთია ბიუროკრატიის წესი! ამ მდგომარეობაში სხვა გარემოება წარმოუდგენელიც არის და ამიტომ გუშინდელი მონა დღეს მბრძანებელი შეიქნა,

მაგრამ ჩვენ ვისარგებლეთ მისი აქ, ჩვენში ყოფნით და გავაცანით ჩვენი საჭიროებანი და ზრახვანი? ნაკლებათ. ჩვენი სამღვდელოება და საზოგადოება იმდენათ დაბეჩავებული და დამფრთხალია თავისი დღევანდელი მდგომარეობით, რომ გული ვერ გაუხსნეს მას, ვერ დაანახვეს თავიანთი გულის ზრახვანი და მისწრაფებანი. მანაც ჩვენგან აქა-იქ კანტი-კუნტათ გამოთქმული უკმაყოფილება ქუთაისის სემინარიისა და ალავერდის კათედრის გაუქმების შესახებ, ჩვენი სადღესო და წმინდა იდეალათ მიიღო და განახორციელა კიდეც. მაგრამ მათი აღდგენა ჩვენ დღევანდელ ცხოვრებას ოდნავაც ვერ შესცვლის, რადგანაც ამათ იმაზე მეტის გაკეთება და შეძენა არ შეუძლიათ, რაც უკვე არსებული კათედრებსა და სემინარიებს, სადაც ყველაფერს ასწავლიან გარდა ქართულისა და ქართველობისა. ასეთ სემინარიებს არ შეუძლიათ მოგვიმზადონ სამღვდელო კანდიდატები მართვეელ სამწყსოსათვის, როგორც ეს საკმაოთ ნათლათ გვქონდა დაურათებული და დასაბუთებული წინა წერილებში (იხ წერილი III გაზ. „სამშობლოში" №242). ჩვენ კი გვჭირია ქართულად აღზრდილი და მარტო ენაზე განსწავლული სამღვდელოება, რომ ჩვენებურათ, დარბაისლათ და ქართულ ენაზე გადასცეს, გააგებინოს მართვეელ სამწყსოს ქრისტიანული სწავლა მოძღვრება. **ქართველ სამწყსოს ქართველ მღვდელს ქართული სემინარია მოუმზადებს**, კარგ მომავალს ამიტომაა ჩვენთვის საჭირო ქართული სემინარია, სადაც ყოველი საგანი უნდა ისწავლებოდეს ქართულ ენაზე თანახმათ 1 ივლისის კანონისა, რადგანაც წართმეული ჩვენი მამულები ერთსა და ორს კი არა ას სემინარიას შეინახავს. აი, ვისაც კი გულში უდევს ჩვენი სიკეთე, აქ უნდა მოგვეშველოს, აქ გვინდა დახმარება. მაგრამ ამას თქმა უნდა, გაგებინება უნდა გაგონება კი მერე მათი საქმე. ამიტომ საჭიროა ამის შესახებ ხმა [illegible] ჩვენმა პრესამ და ჩვენმა სამღვდელოებამ და საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრან უმაღლეს მთავრობასთან [illegible]. იმედი უნდა ვიქონიოთ, [illegible] ამ საქმეს სათავეში უდგანან ჩვენი კეთილის მყოფელნი პირნი, როგორც მაღალ ყოვლად სამღვდელო პიტირიმი, გამარჯვებით დაგვირგვინდება. ამით ჩვენ შევქმნით ეროვნულ სამღვდელოებას და მაშინ ქართველი სამღვდელოებაც მკვდრეთით აღსდგება.

დე—ზი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

ამ დღეებში დავით კლდიაშვილის სახელობის სამკითხველოს გამგეობა, ამავე სამკითხველოს საშუალებათა გასაძლიერებლათ გამართავს ლიტერატურულ საღამოს.

✦ ქუთაისის ქალთა საზოგადოება ყოველ კვირაობით ქალაქის თეატრში გამართავს სახალხო ლექციების კითხვას.

✦ 11 იანვარს ქუთაისის გუბერნატორი პოტულოვი გაემგზავრა ახალ-სენაკში. მის თანამდებობის ასრულებას შეუდგა პოლკოვნიკი ვენტცელი.

✦ სოფ. უშაფათში (სენაკის მაზრა) 4 იანვარს, შეიარაღებული ამხანაგების თანხლებით ილია პაპასკირმა მოიტაცა ამავე სოფლის ახალგაზდა ქალი პაშა საბატარიშვილისა. სოფლელები დაედევნენ და ქალი წაართვეს. მომტაცებელი გაიქცა.

✦ სოფ. ხოტევში (რაჭის მაზრა) არსდება კოოპერატიული საზოგადოება.

✦ სანიტარული წესების დარღვევისათვის პასუხის გებაში მისცეს: ე. ი. აბელიდიანი, მ. გ. მიშირაკოვი, დ. ი. მიქაბერიძე, ა. პ. კაჩუხოვი, მ. ი. ჩიხხიანი, ლ. ი. პეტრიაშვილი და მ. მ. გუჩავა.

✦ გუშინ ბაზრის ზედამხედველმა ირაკლი გელოვანმა ოქმი შეუდგინა ისაკ შაბათას ძე მაწყებლიძეს ბაზრის წესრიგის დარღვევისათვის.

✦ ხვალ ქუთ. საოლქო სასამართლოში გაარჩევენ პორფილე უგრეხელიძის, დათიკო ჩხეიძის, დავით ბერეკაშვილის, ალექსანდრა პანჩულიძის და რაჟდენ ძოწენიძის საქმეებს.

✦ სოფ. დებვირში (ლეჩხუმის მაზრა). ბოროტ-გამზრახველებმა დაწვეს ადგილობრივი სასამართლო.

✦ აკაკის სახელობის უფასო სამკითხველოს (არქიერის გორაზე) გამგეობამ მიიღო სტუდენტ ალექსანდრე შვანგირა-

---

ეგნატე ნინოშვილი,

(იხილე „სამშობლო" № 260.)

ვიცი, რასაც მიპასუხებთ: ეს ასეა ერთხელვე შემოღებული და ასე მიმდინარეობს დღესაცო... მაგრამ ამით ვერ დამაკმაყოფილებთ.

მახსოვს და არასოდესაც არ დამავიწყდება სულ მნათი აკაკის ნათქვამი სიტყვები:

დ. ზესტაფონში ვართ. მეორე სახელმწ. სათათბიროს წევრებს ვირჩევთ.

სხვათა შორის აკაკიმაც იყარა კენჭი.

გაიშავეს და მის მაგიერ ჭიათურის სასწავლებლის მასწავლებელი, ახალგაზდა პ—ძე აირჩიეს.

კრება ადგილობრივ სასამართლოს შენობაში იყო.

აქედგან რკინის გზის ბუფეტში წავედით. აქ სხვათა შორის აკაკის მეგვარეები თალ წერეთლები დახვდენ—ქუთაისიდან მოსულიყვნენ და აკაკის ჩვეულებისამებრ მიეგებენ და სიცილით ჰკითხეს:

— რა ჰქენი აკაკი?

— რა ვქენი და გამაშავეს.

— როგორ? წყენით ჰკითხეს თავადებმა. მაშ, ვინ აირჩიეს?

— ვინ და ახალგაზდა პ—ძე.

— ვინ არის ეს პ—ძე, ან რა მოღვაწეობა მიუძღვის საზოგადოების წინაშე?!

— რაო და თურმე შესანიშნავათ კითხულობს აკაკის ლექსებსო!

ღიმილით უთხრა მგოსანმა და თან დაუმატა:

მე ვწერ ამ ლექსებს და გამაშავეს, ის, თუმც მარტო, კითხულობს ჩემს ნაწერს და გაათეთრესო!

აი, რა ცოტა ყოფნის ჩვენს საზოგადოებას, რას უფრო აფასებსო?!

ცოტა გულ-ნატკენით გვითხრა განსვენებულმა მგოსანმა...

ამასთან ლიტერატურული მიბაძვაც ძლიერ განვითარებულია ჩვენს მწერლობაში, განსაკუთრებით „ფსევდონიმების" გამოგონებაში.

ძველ მწერლებში ძლიერ მცირე ნაწილი სწერდა ფსევდონიმებით.

ყველა თითქმის, თავის ნამდვილ სახელს და გვარს აწერდა.

თუმცა მაშინაც იყო ფსევდონიმები, როგორც მაგალ. სკანდელი, გორისელი, მოჟინიძე, თერგდალეული, დასკონი, მაგრამ ესენი არ ჰგავდენ ერთი მეორეს და ვერც ვერვინ იტყოდა, რომ ერთს მეორესათვის მიუბაძავსო.

დღეს?!

დღეს კი ჩვენს მწერლებში ამ გვარ მიბაძვას დიდი ადგილი უკავია.

ამ გვარი მიბაძვის სენი განსვენებულ ეგნატესაც სჭირდა.

იმ დროს, როცა ეგნატემ კალამს ხელი მოჰკიდა, სამწერლო ასპარეზზე უკვე ცნობილი იყო გ. მაიაშვილი.

ეგნატემ მისი მიბაძვით ე. ნინოშვილი მოაწერა თავის გონებით ნაწარმოებს.

ამას შემდეგ მოყვნენ: ანაშვილი, მართაშვილი, გრიაშვილი და სხ.

ყველამ თავიანთა მშობლების სახელები გამოაშკარავა და გაგვაცნო...

ესეც არ არის ნორმალური მხარე ჩვენი მწერლებისა და უნდა ვეცადოთ, რომ სრულიად მოისპოს... კიდევ ბევრი შეგვეძლო, ამის შესახებ, გვეთქვა მაგრამ აქ უნდა შევჩერდე და ისევ ჩემს მოგონებას დაუბრუნდე...

გავიდა ხანი ნ. ლოლაბერიძემ, მართლაც გაყიდა თავისი მამული და შავი ქვის წარმოება შეწყვიტა. თვითონ საცხოვრებლათ ქ. ტფილისში წავიდა. მისი მოსამსახურეებიც წავიდ—წამოვიდენ და ყველამ თავ თავის საქმეს მოჰკიდა ხელი.

ეგნატემაც გაათავა თავისი მოთხრობა „ქრისტინე", „ივერიის" რედაქციას გაუგზავნა და თან წერილით თავისი მდგომარეობა დაწვრილებით აუწერა.

გავიდა რამოდენიმე თვე, ეგნატეს პასუხი არ მოუვიდა, ამასთან თუმც ქრისტინეს ბეჭდვაც დაიწყეს, მაგრამ ჯერ წინანდელი შრომის ფასიც არ ქონდა მიღებული.

გაჭირვება კი, ამ დროს, ილაჯს უწყვეტდა.

ბოლოს გამოგვემშვიდობა და საცხოვრებლათ ტფილისისაკენ გამოეწყო.

— იქ ვიშოვნი რამე ადგილს ან რედაქციაში და ან კიდევ სხვაგან სადმე.

ამ ზამთარში რამეფრათ თავს გამოვიტან!

გვითხრა ეგნატემ და გაუდგა გზას ტფილისისაკენ... მაგრამ არც ტფილისი დახვედრია საბრალო ეგნატეს, ვარდებით შემკულ სუფრით: აქაც მწუხარება, ტანჯვა შიმშილი დაუხვდა წინ და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა...

„მთელი ზამთარი საბრალო ეგნატემ ტფილისში ნოტიო და გაუთბობელ ოთახში გაატარა, ამბობს გაზ. „კვალში" ერთი მისი ამხანაგთაგანი.

მასთან ტანს ცმოსა დახეული-დაკონკილი, გახუნებული, საზაფხულო. ჭამა-სმაც ბინის და ტანსაცმლის შესაფერი ჰქონდა...

ამავე დროს „ივერიის" რედაქციას მისი წინანდელი ნაწერების ფასი შერჩენილი ჰქონდათ."*)

კიდევ ამაზე მეტს ამბობს ეგნატეს წვალების შესახებ, ტფილისში ცხოვრობის დროს, მეორე მისი ამხანაგი, მ. ცხაკაია, რომელიც იმ დროს, როგორც მახსოვს „ივერიის" რედაქციაში მსახურებდა და ძლიერ ახლოს იდგა რედაქციის საქმეებთან:

„ივერიის რედაქციას დიდი და მიუტევებელი დანაშაული მიუძღვის ეგნატე ნინოშვილის წინაშე, ამბობს იგი. გ. ყიფშიძის საპასუხო ერთ წერილში.

ა) ნინოშვილს არ აძლევდენ დროზე „ივერიის" რედაქციიდგან სასყიდელს, როცა ამის საშვალება ჰქონდათ, იმიტომ, რომ მან ვერ იკადრა მოთხოვა, სხვებსავით უტიფრათ თავის ნიჭის ნაწარმოებისათვის მცირედი სასყიდელი, ან კონტრაქტი შეეკრა რედაქციასთან, როგორც ჩაიდინა ეს ერთმა მწერალმა წარსული წლის დასაწყისში. ბ) რედაქციამ მისცა ნინოშვილს მხოლოდ სამი ნაწარმოების სასყიდელი და ოთხი კი შეირჩინა, მაშინ, როცა 1892—1893 წ. ზამთარში საშვალება ჰქონდა რედაქციას, გაზეთის მოგებიდან მიეცა, მატერიალურათ შევიწროვებულ მწერლისათვის ყველა მისი ნაწარმოების ფასი და მით მიეცემოდა ეგნატე ნინოშვილს შეძლება რიგიანათ ეცხოვრა. შეენახა სიმრთელე და ჯანი უფრო მოღვაწეობისათვის...

გ) ალაგის, სამსახურის შოვნაში დახმარების წილ, რედაქციამ, ყოველ ზნეობის პრინციპს გარეშე, მოატყუა დაჩაგრული მწერალი და სოფელში გაისტუმრა დაპირებით, ოც-ოც მანეთს გამოგიგზავნით ყოველ თვეო და არც კი გაუგზავნია მთელი ზაფხულის განმავლობაში ერთი თუმნის მეტი, რომელიც უკანვე დაუბრუნდა რედაქციას.

დ) 1893 წ. შემოდგომაზე „ივერიის" რედაქციამ ერთ თვეზე მეტი არბენია, შავ-ბედიანი და ძალზე მეტათ, იმ დროს, დაუძლურებული მწერალი და მანამდის არ დაუბრუნა მას თავისი მოთხრობა „ჩვენი ქვეყნის რაინდი", სანამ ოთხი ამხანაგი თავდებათ არ წარუდგინა, რომ რედაქციას დაუბრუნდებოდა მოთხრობის ფული 35 მანეთი, რომელიც ეგნატეს წინ და წინ აღებული ჰქონდა."*)

აი, რა პირობებში გაუტარებია საცოდავ ეგნატეს თავისი ხან მოკლე სიცოცხლის დღენი?!

აი, როგორ უცხოვრია მას ტფილისში და რა ხელის ძალით შეგვიმოკლებია მისთვის სიცოცხლე, სიცოცხლე ისედაც ავისენით მოწამლული, გახრწნილი და გალახული, სიცოცხლე, რომელსაც თავიდგანვე არ უნახავს თბილი ბინა, არ უგრძვნია, სიყვარულით მისთვის მძგერავი გული, ალერსი მოფერება არც შინ და არც ოჯახის გარეშე.

ამ გვარათ, იწოწიალა საბრალო ეგნატემ სოფლიდგან ქალაქში და ქალაქიდგან ისევ სოფლად, მაგრამ მწუხარება, ტანჯვა წვალების და შიმშილის მეტი ვერსად ვერა მოიპოვა რა.

ცხოვრების სიდუხჭირესთან მუდმივმა ბრძოლამ დაღალა, დაქანცა საბრალო ეგნატე და მიხრწნილმა, ძალზე დასუსტებულმა გადასწყვიტა:

„იქა ვარ დაბადებული და იქვე ჩავალ საფლავშიო", სთქვა თავისთვის და დაუბრუნდა ისევ, მრავალჯერ დაწუხებულს, თავის გაღატაკებულს ოჯახს.

---

*) „კვალი" 1894 წ. № 21.

*) „კვალი" 1894 წ. № 28.

ისაგან რვა მანეთი და ათი შაური, შე რებილი მის მიერ ამხანაგთა შორის, ვე სამკითხველოს სასარგებლოდ, გარ აცვალებულის სტუდენტ შალვა ხმალა ის სახსოვრად.

✦ როგორც სარწმუნო წყაროებიდან ვიგებთ, ამ მოკლე ხანში სოფ. ნიკორ მინდაში (რაჭის მაზრა) განზრახვა აქვთ აარსონ კოოპერატიული საზოგადოება და აგრეთვე მერძევეთა ამხანაგობა.

✦ 11 იანვარს ქალაქის გამგეობის დარბაზში ქალაქის მოურავის ბ-ნ ჩიქოვანის თავჯდომარეობით შესდგა სამეურნეო კომისიის კრება. კრებამ საკითხების საბოლოოთ განხილვა ვერ მოასწრო და შემდეგისათვის გადაიდო.

✦ ყოვლადსამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზი გიორგი აცხადებს, რომ სამღვდელოთა გამოცდები დაიწყება ამ წლის 2 მარტიდან. გამოცდები მოხდება იმერეთის ეპარქიალურ კანცელარიის შენობაში. გამომცდელ კომისიის წევრთა სახელი და გვარი გამოცხადდება გამოცდის დღეს. კანდიდატებმა თხოვნასთან ერთად უნდა წარმოადგინონ ყველა საჭირო დოკუმენტები.

✦ ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ რომ ამ სამი კვირაა ქ. ერევნიდან ქუთაისში წამოვიდა გერმანე გძელიძე (დ-ჰარი) და ჯერ ქუთაისში არ ჩამოსულა და არც სადმე გზაზე სჩანს. მისი ნათესავები სთხოვენ მათ, ვინც იცის ეს კაცი სად იმყოფება, მიაწოდონ, მის შესახებ ცნობები. მისამართი: ქუთაისი ძველი თბილისის ქუჩა კლდიაშვილის სახელობის სამკითხველოში, სიმონ ჯინჯიხაძეს.

✦ ტყიბულის რკინის გზის მოსამსახურეები რაკი ხურდას ვერ შოულობენ მგზავრებს ოთი აბაზის მაგივრად თითო მანეთს ართმევენ. კარგი იქნება რკინისგზის ადმინისტრაცია ამ გარემოებას ჯეროვან ყურადღებას მიაქცევდეს. და თავის მოხელეებს ხურდა ფული მიაწოდოს.

✦ ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტლის უფროსი ექიმი სთხოვს ქალაქის გამგეობას, რაც შეიძლება ადრე შეუდგენ ჰოსპიტლის ქუჩის მოკირწყვლას.

✦ 6 იანვარს ქალაქ ოზურგეთში, შუადღის ოთხ საათზე, ამბაკო ტიგუაძის დუქანში შეიჭრა ჰორფილე ბურჭულაძე და დაჭრა იმ დროს იქ მყოფი ილარიონ ბურჭულაძე რომელიც მალე გარდაიცვალა.

✦ 6 იანვარს ვიღაც ალფეზა დვალიძე შეიჭრა ს. ხოტულის (რაჭის მაზრა) მცხოვრებ სიმონ ფანცხავას სახლში და 10 თვის ბავშვი ხანჯლით მოჰკლა. ბოროტ-გამზრახველი როგორც ეტყობა სულით ავადმყოფი უნდა იყოს.

✦ აგერ წელიწადია, რაც უკვო-უკვალოთ დაეკარგა ავსტრიის საზღვარზე, მყოფი ჯარის-კაცი. რაფიელ ვაჩიბერიძე. მისი ნათესავები სთხოვენ მის ნაცნობებს ვინც კი მასთან იმყოფებოდნენ, მიაწოდონ მის შესახებ ცნობები. მისამართი ქუთაისი მესხეთის ქუჩა. საკუთარი სახლები.

✦ 19 და 20 იანვარს ქალაქის თეატრში პროფ. ნიკოლოზ ანდრიას ძე გრედესკული წაიკითხავს ორ ლექციას. შემდეგ თემაზე: 1) ევროპის ომი და 2) რუსეთი და მისი საზოგადოება.

თეატრის ქრონიკა.

მოვაგონებთ ჩვენ მკითხველებს რომ დღეს ქალაქის თეატრში ნიკო გვარაძის საბენეფისოთ წარმოდგენილი იქნება ახალი პიესა „მოლიპულ გზაზე“. ცნობილ მწერლის ან. ერისთავ-ხოშტარიას რომანმა, რომლიდანაც გადმოკეთებულია ეს პიესა, თავის დროზე დიდი ყურადღება დაიმსახურა, ხოლო სცენაზე გაცოცხლებული უმთავრესი გმირები ამ პიესისა მაკინე (ეფემია მესხი) და ოქრო (ნიკო გვარაძე). თვალწინ დაგვიყენებენ ერთის მხრით ცბიერსა და პატივ მოყვარე ქალს, ხოლო მეორეს მხრით დის ცბიერების მსხვერპლს, ალალ მართალსა მაგრამ უთვითნებო წარმომადგენელს ჩვენის თავად აზნაურულ ინტელიგენციისას.

გარდა იმისა, რომ ჩვენ წინაშე გადაიშლება ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება და დავინახავთ ჩვენის უკულმართ ცხოვრებისაგან დამახინჯებულ ტიპებს, ჩვენ მოვალენი ვართ პატივვცეთ ახალგაზრდა მსახიობს ნიკო გვარაძეს, რომელიც არავითარ საშუალებას არ ზოგავს ჩვენის სცენის სამსახურისათვის და მთელს თავისის ახალგაზრდული გატაცებით ემსახურება ქართულ მელპომენის ტაძარს. ნიკო გვარაძე ერთ ერთი უკეთესი მსახიობთაგანია ახალგაზრდათა შორის და მას მოდით, და გავამხნევოთ იგი ჩვენის ზნეობრივისა და ქონებრივის დახმარებით.

გავწიოთ დღეს საღამოთი ქართული თეატრისკენ.

ქართული პრესა.

იმ დიდ წერილში, რომელიც „სახალხო ფურცელში“ დასტამბული და სოხუმის ქალაქის მოურავის ბ-ნ ნ. თავდგირიძისადმი არის მიმართული ექიმი ე. ვაშაკიძე შემდეგ საგულისხმიერო სიტყვებს სწერს.

თქვენმა წერილმა აწმყო კი არა, უსიამოვნო წარსულიც მომაგონა. თითქმის ოცი წლის წინად სოხუმის ოლქში დრანდაში ვმსახურებდი, სადაც სასოფლო ქსენონი იყო. აქ ცხოვრობდნენ სხვა და სხვა ეროვნების წარმომადგენელნი: ბულგარელები, რუსები, ესტონები და სხვები, რომლებისათვის მთავრობის საუკეთესო მიწა დაერიგებია ასე 20—40 დესეტინამდის კომლზე.

იქვე მეზობლად ცხოვრობდნენ მეგრელები, რომლებსაც არავითარი საკუთრება არ ჰქონდათ. იჯარით იღებდნენ გადმოსახლებულების მიწას და ასე გაჭირვებითი ინახავდნენ თავს. მათი მდგომარეობა მაკვირვებდა. მათი მეცადინეობა, რომ სადმე მიწა-წყალი შეეძინათ, უნაყოფოდ რჩებოდა. არ აძლევდნენ ნებას ქსენონში მუქთად ესარგებლად წამლით, როგორც სხვებს. ერთი სიტყვით ისე ეპყრობოდნენ, როგორც ზოგი ანჩხლი დედინაცვალი არ მოეპყრობა გერს. ხშირად მოხდებოდა, ვისმე გადმოსახლებულს დაეკარგებოდა ცხენი და მეგრელებს გადაახდევინებდნენ. ამ გვარი ადმინისტრაციის წესით უხვად სარგებლობდნენ გადმოსახლებულნი. გაძვალტყავებულს, დაავადებულს ცხენს მოკლავდნენ, მიწას მიაბარებდნენ და მერე ადმინისტრაციას გამოუცხადებდნენ, მეგრელებმა მოგვპარესო და ერთი ორად გადაახდევინებდნენ. მეგრელებმა ყური აცქვიტეს, დაუწყეს ყურის დევნა მეზობლებს და დამარხულ ცხენს ხშირად ამოაჩენდნენ. გამოდიოდა რომ მგელს ბრალს დებდენ და ტურამ ქვეყანა დააქცია. ჩემს თვალწინ ცხადად იდგა ამ უსამართლობის შედეგი. გაბატონებული გადმოსახლებული, რომელსაც ადმინისტრაცია მეტად ეალერსებოდა, ადვილად ჰკარგავდა ადამიანობას, სამართლიანობის გრძნობას. ჩვენებურების აუტანელი მდგომარეობა მარტო დრანდში კი არ იყო, იყო ყოველგან სოხუმის ოლქში და ვფიქრობ ასეა დღესაც. და ეს ასეა, არამც თუ სოხუმის ოლქში, ყოველგან საქართველოში. ჩვენი ლამაზი კუთხე ყველასათვის გემრიელ ლუკმად შექმნილა და ბევრი ილესავს კბილს. ზოგიერთები ცილსაც კი სწამებენ ჩვენს ძმებს, რომ ადვილად მოაშორონ მშობელ მიწას და თვითონ დაეპატრონონ. ეს დღევანდელმა ომმაც კარგად დაგვიმტკიცა, მეტადრე ბათუმის ოლქში.

რაკი დღეს ყველას ასე აშლია მადა, ქართველი ნუ ამაყობს საქართველოში სამართლიანობის დიად განხორციელებას! ეს ჩვენს უმწეო მდგომარეობას ოდნავადაც ვერ წასწევს წინ. ამისთანა სამართლიანობის ქადაგება პასსიურ ნებისყოფის მომასწავებელია და დამღუპველი.

ჩვენი ინტელიგენციის ცხოვრებას ერთი ნიშნობლივი თვისება აქვს: ჩვენ ან მთელი ქვეყნის საქმეზე ვვოცნებობთ, მთელი დედა-მიწის ბედი გვაწუხებს, გვატირებს (მხოლოდ სიტყვით, რასაკვირველია), ან და თავის-თავი გაგვიხდია კერპად, რომლისთვის ყოველი და ყველაფერი შეგვიწირავს. ოღონდ ჩემი თავი იყვეს კარგად, თორემ ქვა-ქვაზე ნუ იქნებოდა, და საქართველო რა მოსახსენებელია.

არ მიხარია, რომ ქართველი იერარქიულ კიბეზე მაღლა მიცოცავს. რამდენადაც მაღლა წავა, იმდენად მაგრად სცემს თავის მოძმეს გულში, რომ სულ ჩამოეცალოს ან დაბალ საფეხურს არ ასცილდეს. ეშინია, მთავრობამ ცუდი არ სთქვას ჩემზეო. ესენი ხომ თავის მოძმის მოძულენი არიან და სამარცხვინო ბოძზე ასაკრავნი მაგრამ არც პასიური სამართლიანობაა კარგი. ჯერ მოძმეზე ვიფიქროთ, ჩვენი თავი გამოვიყვანოთ დღევანდელ განსაცდელისაგან და თუ მეტი გვექნება, სხვასაც ნუ დავივიწყებთ კარგათ ვიცით, რომ სხვებს ჩვენზე უკეთესი მზრუნველები ჰყავთ. პასსიური სამართლიანობა, რომელსაც თქვენ ქადაგობთ ბ-ნო ნიკო, როდი ჰგავს იმ სამართლიანობას, რომელსაც შოთა გვასწავლის: „ქმნა საქმისა სამართლისა, ხესა შეიქმნს ხმელსა ნედლადო“. რა სამართლიანობაა, როდესაც ის, რაც ერს მემკვიდრეობით ერგება, ძლიერ ესაჭიროება, თქვენ სხვას უბოძებთ, თუმცა ამავე დროს ნებას, საქმის გაკეთების უნარს მოკლებული ხართ.

ამ წერილს განმარტება აღარ სჭირია.

დაჭრილთა სია.

ოსმალეთის ფრონტიდან 4 იანვარს თბილისში ჩამოიყვანეს:

დავიდოვი (?) ივანე ზაქარიასძე თფილისიდგან.

კაკაბელიძე სამუელ ქუთაისის მაზ. ს. სვირი.

სამდუხაძე სიმონ დიმიტრისძე ქუთაის. მაზ. ს. რგანი.

ნადარაშვილი გიორგი ზაქროსძე თიანეთის მაზ. ს. ახმეტა.

მუხავერდელი იოსებ ილიასძე დუშეთის მაზ. ს. წიროვანი.

ქეხოევი ქაროვ სიმონისძე გორის მაზრა ს. ყორნისი (ოსი) ლაკრაძე ილია მიხეილისძე გორის მაზრა ს. ხოვლე.

ბებიაშვილი ლენკორ ეფრემისძე შორაპნის მაზრა ს. ითხვისი.

ჩიგლაძე გრიგოლ ბესარიონის ძე შორაპ. მაზ. ს. სარეგი.

ჩახუნაშვილი ევგენი ტარიელისძე ქუთაისის მაზრა ს. გადიდი.

ფხაკაძე იაკობ იოსებისძე ქუთ. [illegible] ს. ფარცხანაყანევი.

აივაზაშვილი ბადრი აბრამისძე თელავის მაზ. ს. ქისტაური.

ფეცაშვილი მიხეილ [illegible]ნილის მაზ. ს. ვეჯინი.

ხიდაშვილი ალექსანდრე სპირიდონისძე თფილისის მაზ. ს. დუმაცხოვი.

გოგიშვილი ანტონ ნიკოლოზისძე თფილისის მაზ. ს. შავსოფელი.

მესტვირიშვილი გიორგი ნიკოლოზისძე ს. იძლისიდგან.

ებელაშვილი სოლომონ ივანესძე თელავის მაზ. ს. ხოდაშენი.

უბლავა ფილიპე ილიკოსძე სენაკის მაზ. ს. კინხა.

(შემდეგი იქნება)

კეთილი საქმე.

დიდებული ბაგრატის ტაძრის ნანგრევები დიდათ სამწუხარო სურათს წარმოადგენდა ამ რამდენიმე წლის წინეთ. ეს ჩვენი ერის დიდება და სიამაყე, ეს ჩვენი ერის შემოქმედებითი ნიჭის უტყუარი ნიშანი ყველასაგან მივიწყებული და უპატრონოთ მიტოვებული იყო. მის ფართო ეზოს კარი არა ჰქონდა. მის ისტორიულ ჩუქურთმიან ქვებს ბოროტი ხელები იტაცებდნენ და თავის კარ-მიდამოსათვის ხმარობდნენ. ყოველგვარი ოთხფეხი თავისუფლად დანავარდობდენ ტაძრის კარ ღია გალავანში და აბინძურებდნენ იმ წმიდათა წმიდას, სადაც ჩვენი სულმნათი კათალიკოზები მორწმუნე ხალხს ლოცვა-კურთხევას უძღვნიდენ. ტაძრის ასეთი სამწუხარო სანახაობა შავბნელსა და მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებდა იმ უცხო მნახველებზე, რომლებიც ალტაცებაში მოჰყავდა ტაძრის სიდიადეს და ქართველების ხუროთმოძღვრებას.

ასეთ არა სასურველ მოვლენას ჯეროვანი ყურადღება მიაქცია მამათა მეუფებამ, იმერეთის ეპისკოპოზმა გიორგიმ. მათი მეუფების განკარგულებით და ბ. ა. გორგაძის ხელმძღვანელობით ტაძრის გალავანი მთლად თლილი ქვისაგან აშენებულის ყორით არის შემოღობილი; ძვირფასი ისტორიული ჩუქურთმიანი ქვები გადარჩეულია უბრალო ქვებისაგან და ერთ ადგილას არის მიწყობილი, რომ მნახველს ადვილად შეეძლოს მათი გაშინჯვა, ტაძრის იატაკი და ისტორიული პირების სასაფლაოს ქვები გასუფთავებულია მიწა მტვერისაგან, ტაძრის ჩრდილოეთის კედელი ერთ ადგილას გარედან შეკეთებულია ახალი თლილი ქვით, ტაძრის ფართო ეზოს ერთ ნაწილში გაშენებულია ლამაზი ბაღი და თვით ეზოში

აქ კი, 1894 წლის, მაისის პირველ დღეებში, როდესაც მთელი ბუნება იღვიძებდა და სასიცოცხლოთ, ახელდა თვალებს, საბრალო ეგნატემ, საუკუნოთ დახუჭა, სიცოცხლით სავსე თავისი თვალები და სამუდამოთ გამოგვესალმა...

დიახ, საუკუნოთ გამოგვესალმა წამებული ეგნატე, მაგრამ ახლა ნახეთ, რა პატივით გავასვენეთ, რა დიდებული იყო მისი გასვენება?!

„მაისის შვიდს საღამოს თფილისის სადგურიდან გავგზავნეთ განსვენებული ეგნატე ინგოროყვას პატივისმცემელნი გურიის.

ამბობს ამ განსვენებაზე დამსწრე.

თან მიგვქონდა გვირგვინები, მრავალნაირი ხელ წარწერით.

ზესტაფონს გვირგვინები მოგვემატა და რიონის სადგურზე, ხომ თითქმის ვაგონები გაივსო.

სამტრედიის კიდევ შემოგვიერთდნენ და ამ სახით ერთი ვაგონი სრულიად გაიტენა გ. ინგოროყვას თანამგრძნობი ახალგაზრდობით; ამბობს იგივე დამსწრე*).

როგორც ხედავთ ეს აუარებელი გვირგვინები და ახალგაზრდობა დაესწრო ეგნატეს გასვენებას, უთხრა გრძელ, გრძელი სიტყვები, გააკვირვა მთელი ეგნატეს სოფლელი გლეხები, რომლებიც გასვენების შემდეგ ერთმანეთს, თურმე ეკითხებოდნენ:

„რა კაცი ყოფილა ეს ჩვენი ეგნატე და ჩვენ კი არაფრათ არ ვაგდებდით“.

და წავიდ-წამოვიდენ..

ახლა! მაშინდელ გაზეთებს გადაავლეთ თვალი!.

განსვენებული ეგნატე როგორ წარმოიდგენდა იმას, რასაც გაზეთები და მისი მწერლები მას აწერდენ..

„შენ არ იყავი განხორციელებული ტანჯვა ჩვენი ხალხისა?

ეკითხებოდა ნ. ჟორდანია ქ. ჟენევიდგან გამოგზავნილ წერილში, განსვენებულ ეგნატეს გაციებულ გვამს.

ცხოვრების გულიდან შენ არ გამოგქონდა დაუსრულებელი გმინვა და ოხვრა დავრდომილთა და მაშვრალთა?

შენ არ სწუხდი მაშინ, როცა ხალხი სწუხდა?

შენ არ ტიროდი მაშინ, როცა ერი ტიროდა?.

ბეჩავთა ტანჯვა-ვაებამ შენში არ იშოვა საუკეთესო გამომხატველი?.

შენ იტვირთე ესეთი მძიმე საქმე და კიდევაც მოგიტანა ქვეშ...

ახლა ამ საშინელ სანახავს თვალი მოარიდე და მოცილდი...

დიაღ! მოცილდი მაგრამ არა, როგორც ლაჩარი, სასოწარკვეთილი არსება, არამედ, როგორც გმირი იარაღით აღჭურვილი და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მებრძოლი..

დაობლდა ჩვენი მწერლობა, მას გამოეცალა ერთი უმაგრესი ბოძი...

დაობლდა ჩვენი საზოგადოება, მას მოაკლდა მუდმივი მღაღადებელიო და სხ.*....)

ამ გვარ სიტყვებით და წრფელი გრძნობით დასტიროდა თავს ეგნატეს გაციებულ სამარეს, საუკეთესო მისი მეგობარი.

გვეგონა ამით გათავდა ყველაფერი: მოეღო ბოლო ეგნატეს წვალება ტანჯვებსაც და მის მტერ-მოყვარის მითქმა-მოთქმასაც, მაგრამ მოვსტყუვდით...

დიაღ, მოვსტყუვდით, რადგან ეგნატეს გასვენებამ, მის საფლავზე წარმოთქმულმა სიტყვებმა სულ ახალი ხანა დაბადა ჩვენში.

ახალი სიო შემოიტანა ჩვენს მწერლობაში და ამ სიომ ზოგი გააგრილა ასიამოვნა და ზოგს კი ავნო აწყინა...

უდროოთ დაკარგულ ე. ნინოშვილის საფლავზე გაჩნდა ახალი დასი, რომელმაც განსვენებულის საფლავზე პირველად წარმოსთქვა თავისი რამდენიმე სამოქმედო პროგრამის მუხლი და ხმა მაღლა, გულახდილათ წამოაყენა წინ მომავალი მოქმედების საგანიო, სთქვა იმავე „კვალის“ თანამშრომელმა.

მართალია ასეთ ტრაღიკულ წუთებში, როგორშიდაც იყო ნინოშვილისთანა ნიჭიერ წევრის დამკარგავი ახალ-გაზრდობა ვრცლათ და დაწვრილებით პროგრამის გამორკვევა, შეუძლებელი იყო, მაგრამ რამდენიმე ახალ-გაზრდა კაცმა, მაინც წარმოსთქვა თავისი აზრი მომავალი მოღვაწეობის შესახებ.

გაზეთმა „კვალმა“ სიამოვნებით აღნიშნა ეს მოვლენა და ბ. დამსწრემ თავისი ნახულ-გაგონილი შემდეგი სიტყვებით გადასცა საზოგადოებას.

ე. ნინოშვილის საფლავზე ერთი რამ შესანიშნავი მოვლენა აღმოჩნდა, სწერდა დამსწრე „კვალის“ მე-21 №-ში.

ნინოშვილის კუბოს გარშემო შეიკრიბნენ ასე ვსთქვათ, მესამე დასი ახალგაზრდობისა ე. ი. სულ უკანასკნელი წლების ახალ-გაზრდობა, რომელიც გამოსულა ასპარეზზე მეოთხმოცდაათე წლებიდან...

ისინი უარს ყოფენ ძველს ჩვენს ინტელიგენტ-მეთაურებს და მათი მოქმედება უკვე მავნებლათ მიაჩნიათ საზოგადოების წარმატებისათვის, რადგანაც ისინი (ინტელიგენტ-მეთაურები) განზეთქილან და გაუყვიათ მთელი საზოგადოება პირადი ინტერესებისათვის:

ებრძვიან ერთმანეთს უწმინდურის საშვალებით, დაპირებით და ქრთამით.

საგანი მათი მოქმედებისა კი არის სიმდიდრის მოხვეჭა, პირადი სარგებლობის ძიება და პირზე ნიღაბი ქვეყნის მოღვაწეობისა ჩამოუფარებიათო.

ამ დასმა საგნათ აირჩია ისეთი მოქმედება, რომ გაუნათლებელ სახლში მოჰფინოს წერა-კითხვა.

შეიტანოს მეცნიერების მიერ გამორკვეული ნათელი აზრები, მკვირცხლათ ადევნოს თვალი მსოფლიო ცხოვრებას და არავითარი მოვლენა არ გამოეპაროს მსოფლიო ცხოვრებაში მისთანა, რაც კი სარგებლობას მოუტანს ჩვენს ხალხს და წინ წამოაყენებს მის ბედ-იღბალსო და სხვანი...

ამით ვათავებ განსვენებულ ეგნ. ნინოშვილზე ჩემს ამ მცირე მოგონებას, რომლიდგანაც მკითხველს ნათლად შეუძლია წარმოიდგინოს ყველა ის პირობები და ცხოვრების სიდუხჭირე, რომლებ შორითაც განსვენებულს ეგნატეს უცხოვრია და უმოღვაწია...

ნათლათ იგრძნოს და წარმოიდგინოს მის მიერ ნაგრძნობი-ტანჯვების წამები, ისეთ მშვენიერ მოთხრობების წერის დროს, როგორც არიან საბრალო ეგნატეს მოთხრობები: „სიმონა“, „ქრისტინე“, „ჩვენი ქვეყნის რაინდი“, „პარტახი“, და სხვანი.

და ბოლოს დარწმუნდეს ჩვენს გულცივობაში, უყურადღებობაში, სიცოცხლეში მისი ნიჭის დაუფასებლობაში და დახმარების მაგიერ მის ხან მოკლე სიცოცხლის, მალე მოსასპობლათ ხელის შეწყობამდე...

„რადგან თუ არა ეს მიზეზები, ეგებ, ჩვენს ეგნატეს ოთხი ხუთი წელიწადი მაინც ეცოცხლა და არ დაემარხა თავისი ნიჭი, რომელიც ჩვენს ღარიბ ლიტერატურას რიგიან ნაწერებით ფრთას შეასხამდა, გზა-კვალს გაურკვევდა და მკითხველ საზოგადოებას წარმატების გზაზე დააყენებდა...

მაგრამ ბელეტრისტულ ნიჭს გარდა ეგ. ნინოშვილმა მწერლობაში პუბლიცისტურ-კრიტიკული ნიჭიც გამოიჩინა.

მე მგონია ეს ნიჭი მასში ბელეტრისტულ ნიჭზე ნაკლები არ იყო და ამ მხრივ არა ნაკლებ სამსახურს გაუწევდა ის ჩვენს მწერლობას.

რომ ეს არ არის გადამეტებული ამაში დასარწმუნებლათ, გადაიკითხეთ 1893წ. „კვალის“ ნომერში მისი პირველი პუბლიცისტურ-კრიტიკული წერილები „Гleqt-“ისა და „მეველეს“ და მათ მსგავსთა მიმართულების წინააღმდეგ*).

დიაღ! ამ მიზეზებისა გამო ხანმოკლე იყო, ძმაო ეგნატე, შენი ჩვენს შორის ყოფნა და მოღვაწეობა.

მაგრამ ინუგეშე თავი, მარტო იმით მაინც, რომ ხანმოკლე არ იქნება შენი სახელის ხსენება იმ და შეჩვენებულ ხალხის გულის სიღრმეში, რომლის ტკივილებმაც შენი სუსტი არსება, კიდევ უფრო დაასუსტა, დაამხუნა და ბოლოს სრულებით მოსპო-გაანადგურა!...

მიიღე ჩემგანაც ეს ღრმა რწმენა და მეგობრული ხსოვნა, რომლის სიღრმეშიდაც შენი განხორციელებული სახიერება მუდამ თვალწინ მესვენება და ყოველთვის, შენდამი სიბრალულის გრძნობით შეჯაჭვული, ძალით გამახსენებს ნაღველით სავსე იმ სიტყვებს, რომლითაც დავიწყე ეს ჩემი მოგონება:

„საწყალი საცოდავი ეგნატე!“...

თეოფ. ხუსკივაძე.

---

*) „კვალი“ 1894 წ. № 21.

*) „კვალი“ 1894 წ. № 24.

*) „კვალი“ №21—1894 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუცხოო სისუფთავეა დაცული. ყველა ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ამ ლიტერატურული ტაძრის ნანგრევებს საკუთარი მცველი—ჰყავს მიჩენილი, რომელიც იქვე სამრეკლოს ქვედა სართულში ცხოვრობს და ყოველ დ(ღ)ამ მზათ არის ტაძრის დამთვალიერებელს გალავნის კარები გაუღოს და ღირსშესანიშნავი ადგილები უჩვენოს. სრული ჭეშმარიტებაა რომლისაც ვამბობთ, რომ ადგილი კი არ ამშვენებს კაცს, არამედ კაცი ამშვენებს ადგილს.

მ. ფირცხალაული.

ჭიათურა.*)

კარგა ხანია მოწმეა ჭიათურის საზოგადოება მღვდელ ვაშაძის არა საკადრისი საქციელისა, რომელმაც თავი იჩინა მას შემდეგ, როცა აქ ეკლესიის ასაგებ ადგილის ამორჩევაზე მიდგა საქმე. ეკლესია ჭიათურას თავიდანვე არ ჰქონია, რადგანაც აქ სულ, რამდენიმე მოსახლე იყო ძირითადი და ესენი თავიდანვე სარგებლობდენ სხვადასხვა ეკლესიებით, მაგ. ვაშაძეები მღვიმევში, ხოლო ლექავეები რგანში, შემოსული საზოგადოება—კი საითაც მოისურვებდა, და უფრო-კი მღვიმევის მონასტრით, მაგრამ ბოლოს 1903—1904 წლებში ადგილობრივმა საზოგადოებამ, მრეწველებმა და მოვაჭრეებმა მოინდომეს ეკლესიის აგება თვით ჭიათურაში. ამ საქმისათვის მრეწველთა საბჭომაც 5,000 მანეთი გადასდვა და სასურველათაც იცნო ყველამ ეკლესიის აგება ჭიათურაში. ხმის უმეტესობით კიდეც აირჩიეს ადგილი და ეკლესიის აგებასაც შეუდგენ, რაზედაც საბჭომ გადადებული 5,000 მანეთი უკვე გამოიღო, ხოლო დანარჩენი ფული ადგილობრივ უნდა მოეკრიბათ. აქ მამა ვაშაძის მეცადინეობით წყალი აიმღვრა და მისივე მეცადინეობით სრულიად შეუფერებელ ადგილზე დაიწყეს ეკლესიის აგება, ვაშაძისაგან ჩაგონებულმა ჯგუფმა მისივე ხელმძღვანელობით. ამას ჩადიოდა მამა ვაშაძე იმ განზრახვით, რომ ამით ის ჩამოიცილებდა სხვა მოპირდაპირე მღვდელს, მაგრამ ახლა აშკარათა ჩანს, რომ ამ უადგილო ადგილას დაწყებულ ეკლესიასაც იგივე ბედი მოელის, რაც საბჭოს მიერ დაწყებულს. აქ მღ. გ. ბარათაშვილმა აიღო ვაშაძეს შეუფერებელი საქციელი, რადგანაც იმ ხანებში პირველმა მოინდომა მთელი ჭიათურის რაიონი და მახლობელი უკვე მისი სამრევლოც ხელში ყოლოდა და ამას ცდილობს დღესაც. ამას თან მიუმატეთ სარეალური სასწავლებელში, მრეწველთა სავადმყოფო (ეს ორი უკანასკნელი მის ხელშია) და ამას თუ მიემატებოდა საბჭოსავე სასწავლებლებში საღვთო სჯულის მასწავლებლობა, სწორედ, რომ გემრიელი ლუკმა იქნებოდა.

მღ. ბარათაშვილის, მოქმედება, რომელიც აქ პირველად საღვთო სჯულის მასწავლებლათ მოიწვიეს, სულ სხვა გზით მიმდინარეობს. ის ძალით არსად არ ერევა. არავის არ პირდება ძალით ცხონებას და არც არავის მითვისებასა ცდილობს, ამავე დროს მისი მეცადინეობით საბჭომ შექმნა მშვენიერი ეკლესია სასწავლებლის ერთ მოზდილ ზალაში მხატვრობა ამ ეკლესიისა უკვე დაამთავრა ცნობილმა მხატვარმა შევარდნაძემ, რომელიც ჭიათურის საზოგადოებისათვის საკმაოა და საზოგადოების სიმპატიაც ბარათაშვილისაკენ არის და ჭიათურის საზოგადოებაც საჭიროების დროს ამ უკანასკნელს იწვევს. ამით მამა ვაშაძე აშკარათ ხედავს თავის დამარცხებას და ძალადობით ცდილობს, თუ-კი რაიმე სამღვდელო მოქმედება იქნება ჭიათურაში იმას მიმართონ, რომელიც მისი სამრევლო სრულებითაც არ არის და საზოგადოებაც სრული თავისუფალი უნდა იყოს ამ ძალით მაცხოვნებლისაგან, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ ის ამ უფლებას ძალით ისაკუთრებს და არ ერიდება არავითარ ცილის წამებას მოძმისადმი, ამისი მაგალითია ვაშაძის მიერ უკანასკნელი გამოსვლა: იმან წერილობითი „დანოსი" მიართვა ყოვლად სამღვდელოს, სადაც სწერდა, რომ ბარათაშვილმა 13 სექტემბერს ჯვარი დაწერა ერთ ფერშალ ნაშუადღევს, რისიც უფლება მას არა ჰქონდაო. ასეთივე შემთხვევის გამო გაჯავრებული იყო წინადაც ამას [illegible] კიდევ ბევრი [illegible] და ითხოვა ბარათაშვილის დასჯა, რადგანაც ვითომ აღელვებდა ჭიათურის საზოგადოებას ბარათაშვილის საქციელი და სხვა: „დანოსმა" გამოიწვია გამოძიება, მაგრამ სულ წინააღმდეგი აღმოჩნდა. ამით უფრო იგრძნო დამარცხებულათ თავი ვაშაძემ და კვლავ მეორე „დანოსი" აფრინა და ახლა, როცა მას ეკითხებიან: რატომ მოიქცა ასე, თავის საჩივარზე უარს ამბობს უარობს: „მღვდელ-მთავარს თვითონ გაუგიათ, მაგრამ ახლა გვიანაა მიმალვა ეს დანოსი ჩვენ თვითონ ვნახეთ და თუ ის ამას იუარებს იძულებული ვიქნებით, პირში წაუყენოთ ვაშაძეს და საზოგადოებასაც.

მამა ვაშაძის საქციელით ჭიათურის საზოგადოება არ იყო კმაყოფილი, მაგრამ მისმა ასეთმა საქციელმა ახლა სულ გამოიყვანა მოთმინებისაგან ყველა და აი სწორეთ ამისი შედეგია ის, რომ ერთი მხრით, მრეწველთა საბჭოს მოსამსახურეებმა, სადაც ვაშაძეც მსახურობს, და მეორეს მხრით ჭიათურაში მყოფმა დანარჩენმა საზოგადოებამაც, შეადგინეს თხოვნები ყოვლად სამღვდელოსადმი და თხოულობენ ვაშაძის ძალმომრეობისაგან და უზნეო საქციელისაგან დახსნას ისინი და ჩააგონოს ამ უკანასკნელს შეუფერებელი საქციელის ურიგობა. პირველი უკვე გაიგზავნა, ხოლო მეორე შეგროვებულია ბაზრის დეპუტატთან გ. ქადაგიძესთან, არ ვიცით-კი რა მიზეზით.

ვნახოთ, ყველა ამას რა შედეგი მოყვება.

ნ—ლი.

---

*) საზოგადოთ რედაქციებს ხშირად უსაყვედურებენ ხოლმე, რომ ამა თუ იმ პიროვნების შესახებ მართალი ცნობები არ იბეჭდებაო. ჩვენ დღეს ვბეჭდავთ ერთ და იმავე კაცის შესახებ ორ წერილს ჩვენის კორესპონდენტებისას, რომელთაც ვენდობით, მაგრამ გვაკვირვებს მათი სხვა და სხვაობა. მკითხველისათვის მიგვინდვია, რომელი მათგანია მართალი და ჩვენ-კი ვბეჭდავთ ამ წერილებს იმის დასამტკიცებლათ, რომ ჩვენში არ არსებობს ერთი გადაჭრილი საზომი კაცის აკარგიანობისა და რაღა საკვირველია, რომ რედაქცია შეცდომაში შევიდეს ხოლმე.

რედ.

მცირე შენიშვნა „პეტრიას" წერილის გამო

ჩემდა სამწუხაროდ, დაგვიანებულად წავიკითხე წასული წლის „სამშობლოს" 252 ნომერი, სადაც სხვათა შორის „პეტრიას" წერილიც შემხვდა, რომელმაც ძალიან შემაწუხა იმიტომ, რომ დიდი ხანია დ. ჭიათურაში ვცხოვრობ და ძალიან დაახლოვებითაც ვიცნობ ორივე მღვდლებს მამა ბესარიონ ვაშაძეს და მ. გ. ბარათაშვილს, მაგრამ ამ ორს მღვდელ შორის დიდ მანძილსა და განსხვავებას ვამჩნევ. მ. ბესარიონ ვაშაძეს ბევრი კარგი ადამიანური ღირსებები და თვისებები აქვს და კარგი მიმართულების არის, მ. ბესარიონის ხასიათი წმიდა და უმწიკვლოა, იგი ნამეტანი თავმდაბალი და გულ ახდილია, მასთან დაუღალავი, შრომის მოყვარე და დიდი ენერგიის მღვდელია, იგი მჭერმეტყველიც არის და მართლის მთქმელიც; არავითარი სიბოროტე მისს გულში არ არის და ჩვენც ჭეშმარიტ მოძღვრად მიგვაჩნია; მწერლობაშიც ცოტათი თუ ბევრათ ცნობილია. მღვდელმოქმედობა და ღვთისმსახურებაც შნოიანი და სასოებიანი იცის, ამიტომაც სასულიერო მთავრობასაც მ. ბესარიონ ვაშაძე ყავს დ. ჭიათურაში სამრევლოს მღვდლათ და საზოგადოებაც თითქმის ყოველთვის მ. ვაშაძეს იწვევს მღვდელმოქმედებისათვის და კიდეც გაცილებით მაღლა აყენებენ და აფასებენ მას, ვინემ მ. ბარათაშვილს, მაგრამ „პეტრიას" წერილში კი მთლად წინააღმდეგს ვხედავთ, რომლის შინაარსს ვერც მე და ვერც სხვა ვერ შევრიგებივართ და არაოდეს შევურიგდებით. მუდამ მ. ბესარიონ ვაშაძეს იწვევენ და პატიჟობენ და მერე რა მოხდა და ან რა დიდი ცოდვა ჩაიდინა მაინც და მაინც ჭიათურის საზოგადოებამ, რომ ის ერთხელ საკრებულოს საკურთხევლად მოიწვია მ. ბარათაშვილი და არა მ. ვაშაძე, ისიც მაშინ, როცა მ. ვაშაძე იმ დროს თურმე შინაც არ ყოფილა, ქუთაისში იყო. მე თუმცა პირადათ იმ დღეს კლუბში არ დავსწრებივარ, მაგრამ „პეტრიას" წერილის წაკითხვის შემდეგ სხვა დამსწრეებს ვკითხე, და დამარწმუნეს, რომ ასეთი რამ იქ არა ყოფილა და არც მომხდარა. მ. ვაშაძის წინააღმდეგ „პეტრიას" წერილი თავიდან ბოლომდი სიყალბეა და თუ ასეთი რამე მომხდარა, უეჭველია, ისიც მ. ბარათაშვილის ზედ გავლენით და არა პატივცემული საზოგადოების [illegible]ობით, ამიტომაც „პეტრიას" წერილის შინაარსი ცხადათ გვიკარნახებს, რომ იგი თუ მთლიანათ არა, ნახევარზე მეტი მაინც მ. ბარათაშვილის შეთხზულია და არა სხვისი; თვით ჭიათურის საზოგადოებასაც ასეთი აზრი და შეხედულება დაებადა „პეტრიას" წერილზე, ამიტომაც სირცხვილათ უნდა ჩაეთვალოს კორესპონდენტს „პეტრიას" ასეთი სიყალბე და კიდევ ზედმეტ სირცხვილათ უნდა ჩაეთვალოს ასეთი დამალული მოქმედება მ. ბარათაშვილს, რომ იგი იმალება და პირდაპირ ვერ გაუბედნია გამოსვლა, სხვას ამოფარებია და ისე წერს თავის მოძმე მღვდლის წინააღმდეგს და დასამცირებელს კორესპონდენციას; ეს დაწვრილმანებაა სამღვდელო პირის ზნეობისა და თავმოყვარეობისა. ვურჩევთ მ. ბარათაშვილს, გულწრფელად მოიქცეს როგორც შეეფერება მღვდელს და საღვთო სჯულისა და ზნეობის მასწავლებელს, რადგანაც მას ბევრი მოეთხოვება ზნეობრივად........

მაუდგომელი.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენს პატივცემულ გაზ. „სამშობლოში" შემდეგი მოვათავსოთ:

3 იანვარს მდგომარე წლისა ქუთ. წითელი ჯვრის სავადმყოფოს შენობაში ადგილობრივ მღვდლის მ. ფილიმონ კარბელაშვილის თაოსნობით დაჭრილ და ავადმყოფ ჯარის კაცთათვის გაიმართა საღამო, რომელსაც დაესწრენ მათი მეუფება ეპისკოპოსი გიორგი და ქუთაისის გარნიზონის უფროსი და გარეშე პირნიც, ჩვეულებრივ ლოცვა გალობის შემდეგ მამამ მეუფებამ გრძნობიერი სიტყვით მიულოცა ჯარისკაცებს, ილაპარაკა დღევანდელი ომის შესახებ და დიდი გამამხნევებელი სიტყვა გვიძღვნა, რამაც ჩვენში იმედი და სიხარული გამოიწვია. წარმოითქვა სიტყვები ქართულად რუსულად და ამის შემდეგ გაიმართა სიმღერა ბალალაიკებით და შემდეგ ჯარისკაცებს დაგვირიგეს საშობაო სახუქრები: ქისები, ცხვირსახოცები, კარანდაშები, საპონი, ჩაი-შაქარი წუმწუმები, მარილი, კანფეტები, ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რაც ჯარისკაცისთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. დიდ მადლობას ვუძღვნით ყველას, ვინც თავისი წვლილი გაიღო ჩვენი სახუქრებისათვის. განსაკუთრებით გულითად მადლობას ვუძღვნით მ. ფ. კარბელაშვილს, რომელიც მამაშვილური მზრუნველობით გვექცევა, გვაწვდის, სულიერ საზრდოს: წიგნაკებს, ჟურნალ გაზეთებს, რასაც ყველანი დიდის ხალისით და ყურადღებით ვკითხულობთ. მადლობას ვწირავთ აგრეთვე ბ. ექ. სიმხოვიჩს, რომელიც დაუზარელ შრომას ეწევა ავადმყოფების განკურნებაში და თავისი იმედიანი სიტყვით და მეგობრული მზრუნველობით მძიმე ტვირთს გვიმსუბუქებს. სასურველია ყველგან ასეთი მზრუნველობით ექცეოდენ დაჭრილ და ავადმყოფ ჯარისკაცებს მათი მოძღვარ-ექიმები.

ამხანაგების მონდობილობით უნტ. ოფიც. **მიხა კოსტას ძე გაბუნია. ჯ. კ. ათანასე გიგოს ძე ჭავა.**

ბ რედაქტორო! გაგზავნით ჩემს მიერ შეგროვილ ნაღდს მეზობლებში ს. ალმინიდან (ლეჩხუმის მაზრა) 5 მ. 90 კ., დაჭრილ მეომართა სასარგებლოთ, და იმედია, მოათავსებთ შემომწირველთა სიას თქვენს პატივცემულ გაზეთ „სამშობლოში".

ათ-ათი შაური: ამბაკო რაზმაძემ, სონა რაზმაძისამ, მარო კეჭელმაძისამ, ორ ორი აბაზი: სონა ალავიძისამ, ბიკენტი ჩიქვანმა, ექვსი შაური ანისამ სვანიძემ, ხუთ-ხუთი შაური: ისმაილ ხეცურიანმა და კოსტა ფრუიძემ, თითო აბაზი: სილიბე ჯანაძისამ, ანტონ ჩიქოვანმა, ოლია ფრუიძემ, ეკა ახვლედიანმა, სამი შაური: მარინე ფრუიძისამ, ორ ორი შაური: ნინა ხეცურიანისამ, ფედოსი ხეცურიანისამ, მარინე ჯანაძისამ, ანთიმოზ გაბისონიძემ, თედორე ფრუიძემ, საშიკო ფრუიძისამ, [illegible] დუმთულიანისამ, ფეტი ჯანაძისამ, ალექსი ჯანაძემ, თსანა ფრუიძისამ, ალათი ფრუიძისამ, მელანია ფრუიძისამ, ნანა ფრუიძისამ, ხაილიმე ფრუიძისამ, თეოფანე ფრუიძემ, თითო შაური: მანა ჯანაძისამ, მაია გოლდუაიანისამ, ანტონიე ფრუიძისამ, ხაჯერი ფრუიძისამ და ნინო ფრუიძისამ.

მარო კეჭელმაძისა.

სად გაიგებთ ცნობებს მოკლულთა, უგზო-უკვლოთ დაკარგულთა, დაჭრილთა და დატყვევებულ ჯარისკაცთა შესახებ.

1. მოკლულთა და უგზო-უკვლოთ დაკარგულთა შესახებ უნდა მიმართოთ შემდეგ ადრესით: Петроградъ, Караванная ул., д. № 1, особое дѣлопроизводство Главнаго Штаба.

2. დაჭრილთა შესახებ ცნობების მისაღებად საჭიროა მიმართოთ: Петроград, Басковская ул, д. № 12. Справочный отдѣл при Главномъ Управленіи Россійскаго Краснаго Креста.

3. ტყვეთ წაყვანილთა შესახებ უნდა მიმართოთ: Петроградъ, Инжинерная, д. № 9, Центральное справочое, бюро о военноплѣнныхъ при Главномъ Управленіи Россійскаго Краснаго Креста.

ცნობის მისაღებათ აუცილებლათ საჭიროა გარკვევით აჩვენოთ სახელი, მამის სახელი, გვარი და აღნიშნოთ ჯარის ის ნაწილი (კორპუსი, პოლკი და როტა), სადაც ჯარისკაცი მსახურობდა.

წერილში უნდა აღინიშნოს [illegible] სწორი ადრესი შემკითხველისა (სახელი, მამის სახელი, გვარი და გუბერნია, მაზრა და სოფელი, სადაც [illegible]).

რედაქტორ-გამომც. ი. ცინცაძე.

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის	— 5 ს. 50 წ.
„	— საღამ.	— 6 ს. 57 წ.
ბათომიდან	— დღისით	— 1 ს. 25 წ.
„	— ღამის	— 2 ს. 23 წ.
ფოთიდან	— დილის	— 10 ს. 8 წ.
ტყიბულიდან	— საღამოს	— 7 ს. 39 წ.
შორაპნიდან	— დილის	— 9 ს. 18 წ.

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	— დილის	— 11 ს. 55 წ.
„	— ღამის	— 1 ს. 7 წ.
ბათომისაკენ	— დღისით	— 5 ს. 30 —
„	— დილის	— 4 ს. 27 წ.
ფოთისკენ	— დღისით	— 4 ს. 27 წ.
ტყიბულისკენ	— დილის	— 6 ს. 20 წ.
შორაპნისაკენ	— დღით.	— 5 ს. —

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა

„რუსეთი" („როსსია"),

სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.

პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდეთ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენ კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვიონ თავი. ტელეფონი № 26

წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.

თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა **დავით სიმონის ძე ლოლობერიძე.**

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

მიღებულია დიდძალი

საპნის გასაკეთებელი „სოდა"

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

უკაცობა და ნევრასტენია.

უკაცობისა და ნევრასტენიის დროს ავათმყოფები დიდი სიფრთხილით უნდა მოიქცნენ სამკურნებელ საშუალებათა ამორჩევაში. ბევრგვარი საშუალება არსებობს, რომელიც დროებით ამაგრებს ნერვიულ სისტემას, ხოლო შემდეგ უფრო ავითარებენ ავათმყოფობას. ნამდვილ მეცნიერულათ მომზადებულ და ცნობილ პროფესორებისაგან მოწონებულ საშუალებათ უკაცობის დროს ითვლება რადიკალური ფრანგული პრეპარატი

გრანული ექ. გლეზისა.

გრანული ექ. გლეზისა მრავალნაირათ გამოსცადეს ევროპის სხვილ კლინიკებში და მეცნიერების წარმომადგენლებისაგან ცნობილ იქნა, როგორც რადიკალური და უტყუარი საშუალება სხვადასხვაგვარ ფორმის სქესურ იმპოტენციის და ნერვიულ სისუსტის წინააღმდეგ წამლობისათვის.

გრანული ექ. გლეზისა პირდაპირ მოქმედებს ნერვიულ—სქესურ ცენტრზე, რომელიც სქესურ მოქმედებას ხელმძღვანელობს, ამაგრებს მათ, სპობს სისუსტეს და აახალებს ნორმალურ სქესურ ფუნქციებს. ამასთანავე **გრანული** მთელს ნერვიულ სისტემას ასაზრდოებს ფოსფორით, ახალებს მთელს ნერვიულ ძაფებს, სპობს სისუსტეს, უმატებს ძალას, სპობს სულით დაავადმყოფობას, გულის ცემას, თავის ტკივილს და სხვა ნიშნებს ნევრასტენიისას.

გრანული ექ. გლეზისა—ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც აუცილებლათ ურჩევენ გამოჩენილი პროფესორები ყოველგვარ სისუსტის წინააღმდეგ და დიდი წარმატებით ხმარობენ ევროპის სანატორიებში, კლინიკებსა და საავადმყოფოებში.

გრანული იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა" **ა. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში.

ფასი ერთი ყუთისა—5 მანეთი. სრულ გათავისუფლებისათვის საჭიროა 2—3 ყუთი.

მრავალ მოწონებათა შორის, რომელიც გამოთქმულია პროფესორებისა, ექიმებისა, და ავადმყოფების მიერ, უადგილობის გამო აქ მოგვყავს მხოლოდ ერთი ცნობილი ექიმის—სტატსკი სოვეტნიკის ვ. ვ. ხრულის 50 წლის პრაქტიკანის აზრი ამ წამლის შესახებ.

მ. ხ. ექ გლეზის მიერ მომზადებული პრეპარატი მე ვიხმარე სამი მძლავრი ავათმყოფის წამლობის დროს და დავრწმუნდი, რომ პრეპარატი ექ. გლეზისა შეუდარებელ და უტყუარ საშუალებათ ვსცანი. თუნდაც მცირე დოზა საწყის დღეში ორჯერ რომ მიიღოს ავათმყოფმა, ათი დღის შემდეგ უკვე დარწმუნდება ამ წამლის წარმატებაში. 48 წლის პრაქტიკის დროს მე ბევრგვარი საშუალება მიხმარია ახლათ და ძველათ გამოგონილი, მაგრამ სიმართლე უნდა ვსთქვა, რომ გლეზის პრეპარატს პირველი ადგილი უკავია მათ შორის ნერვების გამაგრებისა და კაცობის აღდგენაში.

([illegible]) დოქტ. სტ. სოვ. ვიკენტი ვიკენტის ძე **ხრული.** ქ. ოდესა.